სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 54

2013 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის, საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებისა და პროექტების საბოლოო შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 მაისის N328 ბრძანებულების მე-2 პუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს N772 ბრძანებით დამტკიცებული „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესი“-ს მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის 27 სექტემბერს კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერი პროექტს არეგისტრირებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ელექტრონულ გაზაში. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: www.rustaveli.org.ge.

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2013 წლის 30 სექტემბრიდან 30 ოქტომბრის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 5 ნოემბრის, 18:00 საათი;

4. პროექტი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე;

5. საკონკურსოდ საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ დანართი N1-ის მიხედვით (გენერირდება ფონდის ელექტრონული ბაზის მიერ პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ) ;

ბ) საპროექტო წინადადება დანართი N2-ის მიხედვით (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით);

დ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით)

ე) ცნობა სამუშაო ან სწავლის ადგილიდან (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF სახით სახით);

6. პროექტის რეგისტრაციამდე ახალგაზრდა მეცნიერს უნდა ჰქონდეს გავლილი ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია;

7. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.

8. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა მიანიჭებს პროექტს უნიკალურ შიფრს და დააგენერირებს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი ახალგაზრდა მეცნიერის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული წარმოდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

9. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი ახალგაზრდა მეცნიერის განცხადების კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ფონდის კანცელარიაში წარდგენის გარეშე, პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.

10. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2013 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2013 წლის კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2013 წლის კონკურსში ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე პროექტის საბოლოო შეფასების გამოანგარიშების წესი ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

13. კონკურსზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადების საგრანტო კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენასა და ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი ნოსელიძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ანი ჩიქოვანი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) რევაზ ასათიანი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) მაია ქაჯაია - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) გელა ჯავახიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტი კივლევების და უმაღლესი განათლების საკითხებში;

ვ) ეკატერინე ვაჩნაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) ნათია იაშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

თ) რუსუდან მანჯგალაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის კონსულტანტი საკადრო საკითხებში;

ი) მადონა გვიდიანი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

კ) თინათინ ლომსაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

14. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

15. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი